

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

დამტკიცებულ
შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American Scho

დირექტორი
ბრძანებით



შინაგანაწესი

2023 წ.

უხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School (შემდგომში „სკოლა“) თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, შპს-ს წესდების და წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე.
- 1.2. შინაგანაწესი შედგენილია საქართველოს „შრომის კოდექსის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით და ეფუძნება საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედ კანონებს და სხვა კანონქვემდებარ ნორმატიულ აქტებს.
- 1.3. შინაგანაწესი მიზნად ისახავს სკოლაში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის სწორგანიზებას, სამუშაო დროის სრულ და რაციონალურ გამოყენებას.
- 1.4. სკოლის ყველა თანამშრომელი, მოსწავლე და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოვალე დაიცვას შინაგანაწესი.
- 1.5. სკოლასა და დასაქმებულებს/მოსწავლეებს შორის აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივ და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახურ მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო.

მუხლი 2. დასაქმებულის სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი

2.1. დასაქმებულის სამუშაოზე მიღების პროცედურა:

2.1.1 თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა/მასწავლებლის მაძიებლისა/ ექიმის: ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის) ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

2.1.2 სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.

2.1.3 მასწავლებლის/ ექიმის/ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანსიის შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს კონკურსი.

2.1.4 ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - www.teacherjobs.ge-ზე.

2.1.5 ვაკანსიის გამოცხადება ხდება ვებ-გვერდზე - <https://teacherjobs.ge/>. შემდეგ ხდება შემოსულ რეზიუმეს გადარჩევა; გასაუბრება; საჩვენებელი გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება (მასწავლებელი მიღების შემთხვევაში).

2.2. დასაქმებული თავის შრომით უფლებას ახორციელებს სკოლასთან შრომითი ხელშეკრულები დადების გზითა და სამსახურებრივი ინსტრუქციების გათვალისწინებით;

2.3. სამუშაოზე მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაცია: სკოლის ადმინისტრაცია, დასაქმებული სამუშაოზე მიღებისას (ხელშეკრულების გაფორმებისას) პირისაგან ითხოვს შემდეგ დოკუმენტებს:

- განცხადება სამსახურში მიღების თაობაზე;
- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- CV ან ავტობიოგრაფია;
- ფოტოსურათი ზომით 3X4;
- განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ცნობა ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე);
- ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;
- ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სამედიცინო ცნობა (ფორმა #100)

2.4. შეთავსებითი სამუშაო: პირები, რომლებიც სამუშაოზე მიიღებიან შეთავსებით, სკოლის მოთხოვნი შესაბამისად, ვალდებული არიან წარმოადგინონ ცნობა სამუშაო ადგილიდან, დაკავებულ თანამდებობისა და მუშაობის გრაფიკის მითითებით;

2.5. სკოლის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, კონკრეტულ პირთან შეთანხმებით, შტატგარეშ თანამშრომლად იყოლიოს ასისტენტ-მასწავლებელი, პრაქტიკანტი, რომლის ფუნქცია - მოვალეობებ და ანაზღაურების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

2.6. შრომითი ხელშეკრულება: სამუშაოზე მიღება ფორმდება წერილობითი ფორმით, სკოლასა და დასაქმებულს შორის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები არ შეიძლება იყოს საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კანონთა კოდექსით გარანტირებულ უფლებებზე ნაკლები;

2.7. დასაქმებულის სამუშაოზე მიღებისას ან დადგენილი წესით მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანისა ადმინისტრაცია ვალდებულია გააცნოს მას სკოლის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა დასაქმებული ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

2.8. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას დასაქმებულის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით.

2.9. ყოველ დასაქმებულზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც ინახება 2.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია.

მუხლი 3. სამუშაო დრო და პირობები

3.1. სამუშაო დრო:

3.1.1 მასწავლებლის სამუშაო დროის ხანგრძლივობა და სასწავლო რეჟიმი განისაზღვრება სკოლის დირექციის მიერ და შეთანხმებული ინდივიდუალურად თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;

3.1.2 სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხები (გაკვეთილის ხანგრძლივობა, შესვენებები და ა.წ რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით.

3.1.3 სკოლაში სამუშაო კვირა 5 დღიანია. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა სკოლის გადაწყვეტილებით იყოს 6 დღიანი;

3.2. ხელფასი მასწავლებელს ეძლევა როგორც საგაკვეთილო საათების ჩატარებისათვის (სრულ დატვირთვის მასწავლებელს 36 საათიანი სამუშაო კვირისათვის), ასევე არასაგაკვეთილო საათებისათვის მასწავლებელი ვალდებულია საერთო სამუშაო (სამუშაო შეხვედრები, პროფესიული განვითარები მიზნით ტრენინგებზე დასწრება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალი მომზადება, გაკვეთილის დაგეგმვა და სხვა), როგორც წესი შეასრულოს სკოლაში.

3.3. არდადეგები: ზამთრისა და გაზაფხულის არდადეგების პერიოდი, თუ ის არ ემთხვევა მორი ვებულებას, სკოლის ყველა დასაქმებულისათვის წარმოადგენს სამუშაო დროს. ამ პერიოდებში აჭიროებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია ადგენს მასწავლებელთა სკოლაში მორიგეობის გრაფიკს ვალებს მათ პედაგოგიურ და საორგანიზაციო სამუშაოებს (ზამთრისა და გაზაფხულის არდადეგები ერიოდში სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს არდადეგების დაწყებამდე მასწავლებლის კვირულ აგაკვეთილო დატვირთვას);

3.5. საათების განაწილება: მასწავლებლებზე საათების განაწილების საკითხის გადაწყვეტისას უმთავრესი მასწავლებლის საგნობრივი და პედაგოგიური კვალიფიკაცია, კერძოდ, როგორია მისი სწავლება/სწავლი შედეგები. თუ კლასში მოსწავლეების უმრავლესობა ვერ ძლევს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტს, სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგიური დასაქმებულის სასწავლო დატვირთვა შეიძლება შემცირდეს ადმინისტრაციის ინიციატივით. **პედაგოგის სასწავლო დატვირთვა ასევე შესაძლოა შემცირდეს** სასწავლო გეგმითა და პროგრამებით საათების ან კლასების შემცირებით შემთხვევაში;

3.6. გამოთავისუფლებული დღე: მასწავლებლებისთვის, შესაძლოა დაწესდეს კვირაში ერთი თავისუფალი დღე (საგაკვეთილო საათების გარეშე) მეთოდური სამუშაოებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

3.7. მორიგეობა: სკოლის დირექტორი სკოლაში დასაქმებულ პირებს ავალებს სკოლაში მორიგეობა წინასწარ შედგენილი მორიგეობის გრაფიკის შესაბამისად;

3.8. სამსახურში გამოცხადების წესი: მასწავლებელი სამსახურში გამოცხადებისას ავსებს ტაბელს _ ხელი მოწერიტ ადასტურებს სკოლაში გამოცხადებასა და სკოლიდან გასვლას შესაბამისი ზუსტი დროითი თითებით. ტაბელის წარმოებაზე კონტროლი და პასუხისმგებლობა ევალება სკოლის დირექტორის მიერ უფლებამოსილ პირს.

3.9. მასწავლებლებს ეკრძალებათ, თავიანთი შეხედულებისამებრ შეცვალონ სამუშაო გრაფიკი და საგაკვეთილო ცხრილი;

3.10. თუ დასაქმებული ვერ ახერხებს სამსახურში გამოცხადებას რაიმე საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობი გაუარესება, ოჯახური გარემოებები და სხვა), იგი ვალდებულია, წინასწარ გონივრული ვადით ადრე განცხადებით მიმართოს სკოლის დირექტორს დროებით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო საგანგებო სიტუაციაში ტელეფონით ან სხვა საშუალებით აცნობოს ადმინისტრაციის რომელიმე წევრს არაუგვიანეს ერთი საათისა სამუშაოს დაწყებამდე; სამუშაო დღის განმავლობაში შეტყობინები არარსებობის შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია, გამოიყენოს დისციპლინური სახდელი;

3.11. სამსახურში გამოცხადების შემდეგ თანამშრომელი ვალდებულია ანაზღაუროს გაცდენილი სამუშაო დრო ადმინისტრაციასთან შეთანხმებული გრაფიკით (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს წინასწარ შეთანხმება კონკრეტულ პირთან მისი შეცვლის თაობაზე).

3.12. მასწავლებლების/თანამშრომლების შრომის ანაზღაურება ხორციელდება თვეში ერთხელ არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, თანამშრომლი პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

უხლი 4. შვებულება

..1. დასაქმებულის **საშვებულებო ანაზღაურება** განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ნაზღაურებიდან. თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო ეგზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებულ ნაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

..2. დასაქმებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება მიეცე ნაზღაურებადი შვებულება წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღის ვადით;

..3. დასაქმებულის **შვებულებაში წასვლის უფლება** წარმოიშობა მუშაობის 11 თვის შემდეგ. სკოლი ჰირექტორთან შეთანხმებით დასაქმებულს შვებულება შეიძლება მიეცეს ამ ვადის გასვლამდე;

..4. დასაქმებული შვებულებით სარგებლობის მოთხოვნით სკოლის დირექტორს მიმართე რილობითი განცხადებით. შვებულება ფორმდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით;

..5. დასაქმებული ვალდებულია შვებულების დასრულებისთანავე დაუბრუნდეს სამუშაო ადგილს;

..6. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება;

..7. თანამშრომლები, როგორც წესი, შვებულებით სარგებლობენ არდადეგების პერიოდში.

..8. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში სულ ცირე 15 კალენდარული დღით;

..9. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე ააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილებ ეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

უხლი 5. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

..1. დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობისა და მშობიარობის გამ ნაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ა ეყუპის შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღის ოდენობით, აღნიშნულში იგულისხმებ ოციალური სააგენტოს მიერ გაცემული დახმარება;

..2. დასაქმებულს უფლება აქვს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შვებულება, თავის ეხედულებისამებრ, გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე;

3. დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ბავშვის მოვლის გამო შვებულება 60 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 58 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე;

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბავშვის მოვლის გამო შვებულება შეუძლია მთლიანად ნაწილობრივ გამოიყენოს ბავშვის დედამ ან მამამ. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ არსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებით სარგებლობა ბავშვის დედის ექსკლუზიური უფლებაა; იუმცა ბავშვის მამას უფლება აქვს, ისარგებლოს აღნიშნული შვებულების იმ დღეებით, რომლებიც ბავშვი ვედას არ გამოუყენებია;

5. ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე დაფრთხილოს დამსაქმებელი აღნიშნული შვებულების აღების შესახებ. დასაქმებული ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებად ნაწილს იყენებ ანამიმდევრობით, შესაბამისად, 183 ან 200 კალენდარული დღის განმავლობაში.'

მუხლი 6. დასაქმებულის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

6.1. დასაქმებულის წახალისება:

სამუშაო მოვალეობების სანიმუშო შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი მუშაობისათვის ნოვატორობისათვის, აღსაზრდელების (მოსწავლეების) სწავლებასა და აღზრდაში მიღწეულ წარმატებებისთვის გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეები:

- ✓ მაღლობის გამოცხადება;
- ✓ ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა;
- ✓ სერტიფიკატის გადაცემა;
- ✓ ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

წახალისება ხდება წერილობითი ბრძანების ფორმით და სამუშაო შეხვედრაზე ეცნობება სასკოლო საზოგადოებას.

6.2. მასწავლებელთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის:

დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში დასაქმებულს შესაძლებელია დაეკისროს შემდეგ დისციპლინური სახდელები:

- ✓ გაფრთხილება;
- ✓ საყვედური;
- ✓ სასტიკი საყვედური;
- ✓ ხელფასის ნაწილობრივ დაქვითვა არაუმეტეს 20 %-ისა;
- ✓ განთავისუფლება.

დისციპლინურ სახდელების დაკისრებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მიერ გამოიცემ ბრძანება.

6.3. მასწავლებელს შეიძლება გამოეცხადოს:

ა) გაფრთხილება

- სასკოლო/საკლასო დოკუმენტაციის უხარისხოდ და არადროულად წარმოებისათვის;
- სამუშაოზე გამოცხადებისას თვის განმავლობაში ორზე მეტი დაგვიანების ან გაკვეთილი გაცდენისათვის;
- დღეში ორზე მეტი დაგვიანებისათვის გაკვეთილზე შესვლისას ზარის დარეკვის შემდეგ;
- პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევისათვის;
- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევისათვის.
- პედსაბჭოს ერთი სხდომის არასაკატიო მიზეზით გაცდენისათვის;
- დირექციის მიერ მიცემული დავალების არაკეთილსინდისიერი, უხარისხოდ ან დაგვიანებით შესრულებისათვის;
- უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;
- დამრიგებლისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის;
-

ბ) საყვედური

- სასკოლო/საკლასო დოკუმენტაციის წარმოების თავის არიდებისთვის;
- მეორე გაფრთხილების მიღებისას;
- სამსახურში გამოცხადებისას თვის განმავლობაში სამზე მეტი დაგვიანების ან არა საკატიო გაცდენისათვის;
- გაკვეთილის თვითნებურად მიტოვებისათვის;
- სკოლისათვის მატერიალური ზარალის მიყენებისათვის, ასევე დაეკისრება მიყენებული ზარალი ანაზღაურება;
- უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევისათვის;
- პედსაბჭოს ორი ან მეტი სხდომის არასაკატიო მიზეზით გაცდენისათვის;
- მშობელთა კრებაზე გამოუცხადებლობისათვის, თუ მისი დასწრება აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ კლასის მოსწავლეებსა და მშობლებს ან/და დირექციას;
- დირექციის მიერ მიცემული დავალების არაკეთილსინდისიერი ან არადროული შესრულების ან საერთოდ შეუსრულებლობისათვის, რაც ჩაითვლება სამსახურებრივ დაუდევრობად (იგულისხმება მეორე ასეთი შემთხვევა);
- მოსწავლის ან კოლეგის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის;
- დამრიგებლისთვის დაკისრებულ მოვალეობათა არაერთგზის შეუსრულებლობისათვის;

გ) სასტიკი საყვედური

- ერთ სასწავლო წელს ორი საყვედურის ან ერთ სემესტრში გაფრთხილებისა და საყვედური მიღების შემდეგ დაკისრებული ნებისმიერი სახდელისათვის;
- სამსახურში გამოცხადებისას სისტემატური დაგვიანებისათვის ან ათზე მეტი გაკვეთილი არასაპატიო გაცდენისათვის, რისთვისაც მას ადრე დაკისრებული ჰქონდა სხვა მსუბუქ დისციპლინური სახდელები;
- მოსწავლის ან კოლეგის არაერთგზის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფისათვის;
- სკოლისათვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენებისათვის;
- რომელიმე კლასის მოსწავლეთა ან მშობელთა მხრიდან საჩივრის განმეორების (დადასტურების შემთხვევაში ან კლასის ჩამორთმევა);
- გაკვეთილის ჩაშლისათვის მასწავლებლის მიზეზით;
- დამრიგებლისათვის დაკისრებულ მოვალეობათა არაერთგზის შეუსრულებლობისათვის, რაც მიიჩნევა სამსახურებრივ გულგრილობად და დაუდევრობად;
- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების არაერთგზის დარღვევისათვის.

დ) მასწავლებელი სამუშაოდან შეიძლება გათავისუფლდეს:

- ერთი წლის განმავლობაში სასტიკი საყვედურის მიღების შემდეგ ისეთი ქმედების ჩადენისათვის, რაც იმსახურებს დისციპლინურ სახდელს;
- საპატიო მიზეზის (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი მივლინების შესრულება) გარეშე, სამსახურებრივი ინსტრუქციებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სისტემატური შეუსრულებლობა;
- შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევისათვის;
- კოლეგის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის;
- სამსახურში გამოცხადებისას ან გაკვეთილებზე შესვლისას სისტემატური დაგვიანებისა და გაცდენისათვის, თუ ადრე დაკისრებული ჰქონდა სხვა სახდელები;
- უსაფრთხოების წესების ისეთი უხეში დარღვევისათვის, რაც მოსწავლის ან კოლეგის დაზიანების მიზეზი გახდა;
- სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება;
- მოსწავლეზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა (მოსწავლის დაშინება, რაიმე ინფორმაციი გამოძალვა, მისი დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით) დადასტურების შემთხვევაში;
- კორუფციულ ურთიერთობაში (გარიგებაში) მონაწილეობა, კორუფციის ნებისმიერი გამოვლინება
- დასაქმებულის მიერ, რომელიც უშუალოდ ემსახურება და პასუხისმგებელია ფულად ან მატერიალურ ფასეულობებზე, ბრალეული ქმედების ჩადენა, ქონების (მათ შორის წვრილმანი) მიტვისება, გაფლანგვა, მისი განზრახ განადგურება ან დაზიანება, თუ ეს ქმედება იძლევა ადმინისტრაციის მხრიდან მისდამი ნდობის დაკარგვის საფუძველს;
- დასაქმებულის მიერ, ამორალური საქციელის ჩადენა სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American
(სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ
ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული ჩატარებული ნებისმიერი
ღონისძიების მიმდინარეობის დრო), რის შედეგადაც შეუძლებელია აღნიშნული
სამუშაოს გაგრძელება;

მუხლი 7. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და კლასიდან კლასში გადაყვანა

7.1. I კლასში ჩასარიცხად საჭიროა განაცხადის გაკეთება სკოლის ადმინისტრაციაში. სკოლაში მოსწავლით ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით და რეგისტრაციის ვადები კი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

7.2. ჩარიცხვა ხდება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:

- მშობლის განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
- მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის მოწმობის ასლი;
- სამედიცინო ბარათი (ფორმა #100);
- 2 ფოტოსურათი 3X4 (ფერადი);
- მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და პედაგოგიური დაკვირვების შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7.3. ადმინისტრაცია სკოლაში ჩარიცხვისას მშობელთან დებს ხელშეკრულებას, აგრეთვე მოსწავლესა და მის მშობელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

7.4. მოსწავლის კლასიდან მომდევნო კლასში გადასაყვანად სკოლა აწესებს განსაზღვრულ მინიმალურ ბარიერს ყველა საგანში, რომლის დაძლევა აუცილებელი პირობაა მომდევნო კლასში გადასასვლელად. მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება დირექტორის ბრძანებით

მუხლი 8. მშობლის უფლება-მოვალეობები

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას მოსწავლის მშობელთან (კანონიერ წარმომადგენელთან) ფორმდება ხელშეკრულება. მასში ასახულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები.

მშობელს უფლება აქვს:

8.1. მოითხოვოს სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

8.2. მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციისაგან სასწავლებელი ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;

8.3. მიიღოს მონაწილეობა სკოლის საქმიანობაში (ინიციატივები, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, საქველმოქმედო ღონისძიებები, პროექტები და ა.შ.);

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

8.4. ტელეფონით ან/და ელ.ფოსტით დაუკავშირდეს კლასის დამრიგებელს შვილის აკადემიურ ოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ასევე შეუთანხმდეს მას შეხვედრაზე.

8.5. მშობლებისათვის შვილის შესახებ ინფორმაციის კოორდინირებული მიღების მიზნით სკოლაში დაწესებულია მშობლის დღე, ყოველი კვირის პარასკევი დღე. მშობელს შეუძლია სკოლაში შემოსვლ სასწავლო პროცესის დროს აუცილებლობის შემთხვევაში (მაგ. ადმინისტრაციასთან განცხადები შემოტანის მიზნით).

მშობელი ვალდებულია:

8.6. შეასრულოს სასწავლებლის შინაგანაწესითა და ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;

8.7. უზრუნველყოს შვილისთვის სწავლისა და აღზრდის ნორმალური პირობების შექმნა;

8.8. მოსწავლე სკოლაში გამოუშვას სასკოლო ფორმით, სუფთად ჩაცმული, ყველა სასწავლო ნივთით აღჭურვილი, ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მან სკოლაში არ წამოიღოს არასაჭირო ნივთები.

8.9. პირადად წარმოადგინოს განცხადება მოსწავლის სკოლიდან გათავისუფლების თხოვნით ან სკოლაში მოსწავლის დაბრუნებიდან 2 დღის განმავლობაში წარმოადგინოს სპეციალური განაცხადი, რომელიც განმარტავს მოსწავლის გაცდენის მიზეზს. უკიდურესი აუცილებლობის დროს, თუ მშობელს ესაჭიროება შვილის განთავისუფლება დღის განმავლობაში რომელიმე გაკვეთილიდან/გაკვეთილებიდან, ტელეფონით დაუკავშირდეს კლასის დამრიგებელს და სთხოვოს მას მოსწავლის განთავისუფლება.

8.10. საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის ან ადმინისტრაციის პირველივე მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სკოლაში;

8.11. აანაზღაუროს სკოლისათვის მისი შვილის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი;

8.12. სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები;

8.13. დაესწროს მშობელთა კრებებს.

8.14. იცნობდეს მოსწავლის ქცევის კოდექსს და ზრუნავდეს მოსწავლის მიერ მის დაცვა- შესრულებაზე.

მუხლი 9. სკოლის მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი

ქოსწავლეს უფლება აქვს:

- 9.1. განათლების მიღება:** მიიღოს განათლება სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი ფორმით.
- 9.2. ღირსეული მოპყრობა:** მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება; დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
- 9.3. საკუთარი უფლებების ცოდნა:** ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ;
- 9.4. შეფასების კრიტერიუმების ცოდნა:** გაეცნოს კონკრეტულ კლასში მოქმედ შეფასების სისტემას და მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისაგან საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ;
- 9.5. ინფორმაციის მიღება:** მიიღოს სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია მისი შეფასების, ოლიმპიადების, კონფერენციების, სხვადასხვა სახის აკადემიური თუ შემოქმედებითი კონკურსის პირობების შესახებ მათში მონაწილეობის მიზნით;
- 9.6. რესურსებით სარგებლობა:** სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს საგანამანათლებლო დაწესებულების უძრავ-მოძრავი ქონებით განათლების მიღების მიზნით; ისარგებლოს სასწავლებლის სამედიცინო სამსახურისა და სასააღილოს მომსახურებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საშუალებებით.
- 9.7. განხილვაში მონაწილეობა:** მოითხოვოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა კლასის მშობელთა კრებაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. თუ მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მას შეუძლია დაესწროს აღნიშნული საკითხის განხილვას.
- 9.8. აზრის თავისუფლება:** გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა, დაცულ იქნას ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- 9.9. დახმარების თხოვნა:** მიმართოს ფსიქოლოგს და დირექტორს კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად (მასწავლებელთან, მოსწავლესთან);
- 9.10. კონსულტაციის მოთხოვნა:** საპატიო გაცდენის შემთხვევაში მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

9.11. ნიშნის გამოსწორება: მოსწავლეს შეუძლია, გამოასწოროს არასასურველი ქულობრივი შეფასება, თუ ამის სურვილი გაუჩნდება (სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი პროცედურების დაცვით).

9.12. ადგილის შერჩევა: თავად აირჩიოს კლასში სასურველი ადგილი (მერხი) გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსწავლე ხშირად საუბრობს მეწყვილესთან, რითაც ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს. ამ შემთხვევაში მასწავლებელს უფლება აქვს, ბავშვი გადასვას სხვა ადგილზე თავისი შეხედულებისამებრ;

9.13. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა: მოსწავლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. არ შეიძლება, მოსწავლეს მოეთხოვოს, გაამჟღავნოს ინფორმაცია მის პირად ცხოვრებაზე, ოჯახზე, პრობლემებზე მისი ნების საწინააღმდეგოდ.

9.14. სკოლას არა აქვს უფლება შეაგროვოს მოსწავლეზე ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის რელიგიურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობასთან.

9.15. რწმენის თავისუფლება: მოსწავლეებს აქვთ რწმენისა და სინდისის თავისუფლება, ასევე უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი;

9.16. დუმილის უფლება: მოსწავლეს უფლება აქვს, დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, ასევე დისციპლინური დევნისას წარდგეს წარმომადგენელთან ერთად.

მოსწავლე ვალდებულია:

- 9.17. მოსწავლის ქცევის კოდექსი:** მოსწავლემ სასწავლო პროცესის დროს უნდა იხელმძღვანელოს მოსწავლის ქცევის კოდექსით.
- 9.18. პატივისცემით მოპყრობა:** პატივისცემით მოექცეს თანაკლასელებს და მასწავლებლებს;
- 9.19. ქონების გაფრთხილება:** გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას და პირად თუ სხვის სასწავლო ნივთებს, დაიცვას უსაფრთხოების წესები;
- 9.20. ზიანის ანაზღაურება:** გამოასწოროს სკოლისათვის მიყენებული ზიანი და აანაზღაუროს მატერიალური ზარალი;
- 9.21. თანამშრომლებისადმი დამორჩილება:** შეასრულოს მასწავლებლებისა (მათ შორის დერეფნის მორიგის) და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, თუ ეს მოთხოვნები შეთავსებადია მოქმედ კანონმდებლობასთან, შინაგანაწესსა და მშობელსა (ან კანონიერ წარმომადგენელს) და ადმინისტრაციას შორის დადებულ ხელშეკრულებასთან.
- 9.22. გაკვეთილებზე დასწრება:** დაესწროს ყველა გაკვეთილს, საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად.
- 9.23. ახსნა-განმარტების დაწერა:** მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის თანხმობით წარუდგინოს კლასის დამრიგებელს ოფიციალური ახსნა- განმარტება გაცდენაზე, ერთი გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაშიც;
- 9.24. გაკვეთილების მომზადება:** მოსწავლე ვალდებულია, მოამზადოს გაკვეთილი თითოეულ საგანში წინა გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში.
- 9.25. სასკოლო ფორმა:** სკოლას უფლება აქვს, დააწესოს სასკოლო ფორმა ისე, რომ არ შეზღუდოს მოსწავლის გამოხატვის თავისუფლება.
- 9.27. ფორმის არასებობის შემთხვევაში** მოსწავლე ვალდებულია ატაროს კლასიკური სტილის ჩასაცმელი დასაშვებია ამ სტილთან მიახლოებული, შავი ფერის ჯინსი, თეთრი ფერის პერანგი. რამდენჯერმე უფორმოდ გამოცხადების შემთხვევაში შესაბამისი კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის დაწყებისას დაუკავშირდეს მშობელს და მოსთხოვოს მას სკოლაში გამოცხადება მოსწავლისათვის ფორმის გამოცვლის მიზნით.
- 9.28. პუნქტუალობა:** იმყოფებოდეს საკლასო ოთახში ზარის დარეკვისას და კლასში დაელოდოს მასწავლებლის მოსვლას;
- 9.29. წესრიგის დაცვა:** პატივისცემით მოეპყრას ტექნიკური პერსონალის შრომას, გაითვალისწინოს მათი კანონიერი შენიშვნები, დაიცვას წესრიგი/სისუფთავე;
- 9.30. სასწავლო ნივთების ტარება:** იქონიოს საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისი სასწავლო ნივთები ი იმის გათვალისწინებით, რომ კლასში თითოეულ მერხზე იყოს იმ საგნის წიგნი/წიგნები);
- 9.31. ნებართვის აღება:** საკლასო ოთახიდან გასვლის შემთხვევაში ითხოვოს მასწავლებლის ნებართვა.

მუხლი 10. სკოლაში აკრძალული წესები

მოსწავლეს ეკრძალება:

- 10.1. სკოლაში მოსვლა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შეუფერებელი ვარცხნილობით, ჩაცმულობით და მაკიაჟით;
- 10.2. გაკვეთილის თვითნებურად მიტოვება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად (ე. წ. 'შატალო');
- 10.3. გაკვეთილის გაცდენა დოკუმენტურად გაფორმებული საპატიო მიზეზის გარეშე. ასევე გაკვეთილზე დაგვიანება არასაპატიო მიზეზით;
- 10.4. სხვისი საკლასო ოთახის კარის შეღება და რომელიმე მოსწავლის გამომახება გაკვეთილიდან გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, (იგულისხმება შემთხვევა, როცა მოსწავლე რაიმე საჭიროებისათვის იმყოფება დერეფანში საგაკვეთილო პროცესის მსვლელობის დროს).
- 10.5. სკოლის აღჭურვილობის (ხელსაწყოები, მუსიკალური ინსტრუმენტი, კომპიუტერი და ა.შ.) გამოყენება უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე;
- 10.6. შესვენებაზე ყვირილი, ჩხუბი და ძალადობის ელემენტების შემცველი თამაშები;
- 10.7. ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთების (ცივი იარაღი-ნებისმიერი სახის და ზომის დანა ან საჩხვლეტი, ცეცხლსასროლი და გაზის იარაღი, ასაფეთქებელი) ფლობა, ხმარება, შენახვა, სხვისთვის გადაცემა.
- 10.8. შესვენების ან/და თავისუფალი გაკვეთილიდან სკოლის შენობიდან გასვლა დირექტორის ან მოადგილის ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის განთავისუფლებულია რომელიმე გაკვეთილიდან
- 10.9. სკოლის ქონების გაფუჭება/დაზიანება, საკლასო ოთახებისა და კორიდორების დანაგვიანებ ა კიბეებსა და ფანჯრებზე ნაგვის დატოვება, წარწერების გაკეთება, ამოკაწვრა, კედლებზე ფეხსაცმლის მიღება;
- 10.10. სკოლაში საღებავი რეზინის ღებვა;
- 10.11. სკოლაში მოსვლა ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების პერიოდში;
- 10.12. სიგარეტის მოწევა, უცენზურო გამონათქვამები, აზარტული თამაშები, კარტის შემოტანა შენობაში, ნარკოტიკული საშუალებების, სპირტიანი და ნაკლებალკოჰოლური სასმელების მიღება;
- 10.13. გაკვეთილზე (პედაგოგთან შეუთანხმებლად, არასასწავლო მიზნით) მობილური ტელეფონით, აუდიო და ვიდეო საშუალებებით სარგებლობა.

10.14. მონაწილეობა საქმეების გარჩევებსა და მასიურ ჩხუბში სასკოლო დროსა და სკოლის ტერიტორიაზე, ასევე დაკავშირება გარეშე პირებთან.

10.15. „უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით და პირობებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

10.16. სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, სკოლის გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე სკოლის შინაგანაწესის დარღვევა ან/და მოსწავლისათვის შეუფერებელი სხვა ქმედება.

10.17. სკოლის შინაგანაწესით აკრძალული ნივთებია:

- მობილური ტელეფონი (გაკვეთილის მსვლელობისას არასასწავლო მიზნით);
- ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება, ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს (მაგ. “ფლეერი”);
- ალკოჰოლური, ნარკოტიკული ნივთიერებები, თამბაქოს ნაწარმი;
- მომწავლელი აირები, იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იარაღად;
- სანთებელა ან ასანთი, ასაფეთქებელი/მომწამვლელი ნივთიერება და მოწყობილობა;
- აზარტული თამაშის საშუალებები (მაგ. კარტი);
- უხამსობის ამსახველი ნივთები;
- ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობის ფული;
- ფსიქოტროპული საშუალებები ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე.

(იარაღი არის ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სხეულის დაზიანება ან სხვა პირის დაზიანება, ასევე ნებისმიერი საგანი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ამ მიზნით).

10.18. დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთის შენახვა, ფლობა ან გადაცემა. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს ჩამოერთმევა მოცემული ნივთი და გადაეცემა მშობელს.

10.19. იარაღის შენახვის, ფლობის ან გადაცემისას მოხდება მისი ჩამორთმევა და გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ასევე მოსწავლე ჩამოშორდება სასწავლო პროცესს განსაზღვრული პერიოდით.

10.20. აკრძალულია მოსწავლის მიერ თამბაქოს ნებისმიერი პროდუქტის ფლობა, გამოყენება ან გავრცელება. თამბაქოს ნაწარმად ჩაითვლება სიგარეტი, სიგარა, ჩიბუხი, ელექტრონული სიგარეტი, სალექი ან სასუნთქი თამბაქო. ეს აკრძალვა ვრცელდება სკოლის ტერიტორიაზე ასევე, სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე.

მუხლი 11. დისციპლინური დევნა და პასუხისმგებლობის ზომები

- 11.1. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში დადგენილი წესით. შინაგანაწესით დადგენილი პროცედურების დარღვევაც ითვლება დისციპლინურ გადაცდომად.
- 11.2. მოსწავლის ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
- 11.3. სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იყოს ისეთი საშუალებებით, რომლებიც ეყრდნობა ბავშვის ღირსების პატივისცემას;
- 11.4. დაუშვებელია მოსწავლის ფიზიკური დასჯა და ფიზიკური ძალის გამოყენება დისციპლინარულ სახდელის სახით;
- 11.5. დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფისას სკოლა ვალდებულია, მოახდინოს რეაგირება კანონი თ დადგენილი წესით.
- 11.6. დაუშვებელია მოსწავლეთა ჯგუფის დასჯა ერთი ან რამდენიმე მოსწავლის ქმედების გამო;
- 11.7. დაუშვებელია მოსწავლის დასჯა იმ ქმედებისათვის, რაც მან ჩაიდინა სკოლის ტერიტორიის გარეთ არასასკოლო საათებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აკრძალული ქმედება პირდაპირ დაკავშირებულია სკოლასთან (მაგ. ჩხუბი სკოლის მოსწავლეებთან სკოლის გარეთ);
- 11.8. საპატიო მიზეზის გარეშე ზემოთ აღნიშნული მოვალეობები შეუსრულებლობისათვის (დისციპლინური დარღვევებისათვის) საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეიძლება დაედოს დისციპლინური სახდელის განსაკუთრებული ზომა-სკოლიდან გარიცხვა;
- 11.9. სკოლაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად, არსებობს უფლებამოსილი პირი/ები, რომელიც ხელს უწყობს დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს. მოსწავლე ვალდებულია დაემორჩილოს უფლებამოსილი პირი/ები-ს, კანონიერ მოთხოვნებს და გაითვალისწინოს მითითებები.

მუხლი 12. მოსწავლის დისციპლინური სახდელები

12.1. მოსწავლის დისციპლინური სახდელებია:

- სიტყვიერი გაფრთხილება/შენიშვნა;
- წერილობითი გაფრთხილება/შენიშვნა;
- საყვედური;
- სასტიკი საყვედური.
- სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება;
- სკოლიდან და საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლის დროებით დათხოვნა.
- გაკვეთილიდან გაძევება;
- საშუალო საფეხურზე სკოლიდან გარიცხვა.

მოსწავლეს შესაძლოა დისციპლინური სახდელი დაეკისროს კონკრეტული შემთხვევის სიმძიმის, ასიათის, გარემოებების, მოსწავლის და სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული ესისგან განსხვავებით.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

გაკვეთილიდან მოსწავლის დათხოვნის/გამეცების უფლება აქვს საგნის მასწავლებელს, მაგრამ იგი ვალდებულია შეატყობინოს უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მეთვალყურეობას. დამრიგებელი მოსწავლის მშობელს აცნობებს მოსწავლის გაკვეთილიდან გამეცების ფაქტსა და მიზეზებს. გაკვეთილიდან გამეცების შემთხვევაში მასწავლებელი წარმოადგენს სამსახურებრივ ბარათს, სადაც განმარტავს გადაცდომის არსს. სკოლიდან დროებით დათხოვნის უფლება აქვს სკოლის დირექტორს, მას შემდეგ, რაც მშობელს აცნობებენ მისი შვილის დათხოვნის მიზეზებსა და ხანგრძლივობას.

12.2. პრევენციული ღონისძიებები:

- ✓ კლასის დამრიგებლის დაკავშირება მოსწავლის მშობელთან, მასთან გასაუბრება;
- ✓ მოსწავლის შეხვედრა დირექტორთან და ჩანაწერის (აქტის) გაფორმება;
- ✓ გამოსაცდელი ვადის დაწესება და დამრიგებლისა და მშობლის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა;
- ✓ სკოლის სერვისით (კომპიუტერული ქსელი, ექსკურსიები და სხვ.) სარგებლობის უფლების ჩამორთმევა (გარკვეული ვადით);
- ✓ მიყენებული ზარალის თანხობრივი ანაზღაურება მშობლის მიერ ან დაზიანებული ნივთის ან ინვენტარის ახლით შეცვლა;
- ✓ სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის (სკოლის ეზოსა და შენობის გასუფთავება, ნარგავები მოვლა, დაზიანებული ინვენტარის შეკეთება და სხვ.) შესრულება გაკვეთილების დაწყებამდე ა შემდეგ;
- ✓ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთების ჩამორთმევა და მშობლისათვის ან სამართალდამცავი ორგანოსათვის გადაცემა;
- ✓ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლაში მოსწავლის დატოვება და დამატებითი დავალების მიცემა მშობლის წინასწარი გაფრთხილებით;

12.3. მოსწავლეს წერილობით შენიშვნა ან გაფრთხილება შეიძლება მიეცეს გაკვეთილზე ან დასვენებაზე დისციპლინის მსუბუქი დარღვევისათვის.

12.4 მოსწავლეს წერილობით შენიშვნა ან გაფრთხილება შეიძლება მიეცეს:

1. უფლებამოსილი პირის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის.
2. უსაფრთხოების წესების მსუბუქი დარღვევისათვის;
3. მოსწავლის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის;
4. სკოლაში გამოცხადებისას ორი ან ორზე მეტი დაგვიანებისათვის, ან გაკვეთილის უმიზეზოდ ან არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის;
5. გაკვეთილის თვითნებურად მიტოვებისათვის;
6. სასკოლო ქონების გაუფრთხილებლობისათვის.
7. სკოლაში აკრძალული ნივთების ტარებისათვის.
8. სკოლაში არასასკოლო ფორმით გამოცხადებისათვის.

12.5. მოსწავლეს საყვედური ან სასტიკი საყვედური წერილობით შეიძლება გამოეცხადოს:

1. გაფრთხილების განმეორებით მიღებისას;
2. გაკვეთილზე ან დასვენებაზე დისციპლინის უხეში დარღვევისათვის;
3. უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევისათვის;
4. მოსწავლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფისათვის;
5. მასწავლებლის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის;
6. სკოლაში გამოცხადებისას ან გაკვეთილის დაწყებისას ხუთი ან მეტი დაგვიანებისათვის, ან ხუთზე მეტი გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენისას;
7. სკოლის დამოუკიდებლად სხვა მოსწავლეებთან ერთად თვითნებურად მიტოვებისათვის (ე. წ. შატალოსთვის);
8. სისტემატურად არასასკოლო ფორმით სკოლაში გამოცხადებისათვის;
9. სასკოლო ინვენტარის დაზიანებისათვის.

გაფრთხილების, საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადება ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით და სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში. სახდელის დაკისრების შესახებ დამრიგებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოსწავლის მშობელს.

ექვსი თვის შემდეგ მოსწავლეს პირადი ან მშობლის განცხადების საფუძველზე დირექტორის ბრძანებით დისციპლინური სახდელის შეიძლება ვადაზე ადრე მოეხსნას სახდელი. დაუშვებელია, დისციპლინარული სახდელის მოხსნის შემდეგ, ამ სახდელის არსებობის ფაქტის გათვალისწინება მომავალში.

2.6. დისციპლინური სახდელის სახით სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე სკოლი პირექტორის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

. შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენისას, თუ მოსწავლის მიმართ უკვე გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის წინა ზომა ან შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის სისტემატურად ჩადენისას, რის გამოც მიზანშეწონილი მოსწავლის დროებით დათხოვნა დისციპლინური პასუხისმგებლობის წინა ზომის გამოყენების გარეშე; .სკოლაში დასაქმებულის/მოსწავლის მშობლის/წარმომადგენლის/სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირზე პირის ფიზიკური შეურაცხყოფა;

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

1. მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიაზე ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე ფსიქოტროპულ აშუალებების გამოყენება;

2. სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის გამოცხადება ან/და შემდეგი ნივთების ქონა:

4.1. ნარკოტიკული საშუალებები, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება;

4.2. ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები.

ნებისმიერი სახის იარაღი ან ბასრი ნივთი (მაგ. კასტეტი, დანა და ა.შ), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იარაღად;

4.3. ელექტროშოკური მოწყობილობა;

4.4. ნარკოტიკული საშუალებები, მისი ანალოგი, პრეკურსორი;

4.5. ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები;

4.6. ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას

3. ფულის/ან სხვა ნივთის/ნივთების სხვა პირისთვის იძულების ფორმით გამორთმევა;

4. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების კსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების რეალიზაცია ან/და ავრცელება სკოლის ტერიტორიაზე;

2.7. **სასარგებლო საქმიანობის დაკისრება** შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ სკოლა მიიჩნევს, რომ სასარგებლო საქმიანობის დაკისრებით მეტად არის შესაძლებელი მოსწავლის დისციპლინის გაუმჯობესება და განმეორებით დისციპლინური გადაცდომის ჩადენის პრევენცია.

2.8. დისციპლინური სახდელის სახით, **საშუალო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა** შეიძლება გამოყენებულ იქნეს: მოსწავლის მიერ შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ადენისას, თუ მის მიმართ გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის წინა ზომა (სკოლიდან პროვოკაციით დათხოვნა) ან პირდაპირ, დისციპლინური პასუხისმგებლობის წინა ზომების გამოყენების არეშე, თუ მოსწავლის მიერ ჩადენილი ქმედება განზრახ ან/და არსებით ზიანს აყენებს სკოლის ინტერესებს.

2.9. ქმედების, რომელმაც შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ ირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, სკოლის გამართულ ფუნქციონირებას ან/და ასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სკოლის შინაგანაწესის 12.1 პუნქტით განსაზღვრულ დისციპლინური სახდელი მოსწავლეს დაეკისრება კონკრეტული შემთხვევის სიმძიმის გათვალისწინებით

12.10. საჩივრების განხილვის წესი

1. სკოლის თანამშრომელთა ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საჩივრების განხილვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებული საჩივრების განხილვის წესის შესაბამისად.

მუხლი 13. მოსწავლის შეფასება და წახალისება

13.1. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლისას მოსწავლის ნამუშევარი ფასდება პედაგოგის მიერ, სკოლაში არსებული შეფასების სისტემის მიხედვით.

13.2. შეფასების კონკრეტულ სქემას შეიმუშავებს თითოეული კათედრა ცალ-ცალკე და იმავდროულად სხვა კათედრებთან შეთანხმებით, რათა მოსწავლეთა შეფასება სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში შესაძლებლობის ფარგლებში მეტნაკლებად დაახლოებული იყოს ერთმანეთთან და მოსწავლეს (მის მშობელს) არ გაუჭირდეს შეფასების გაგება.

13.3. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით

13.4. გაკვეთილის მრავალჯერადი არასაპატიო გაცდენის გამო, მოსწავლე უნდა დაესწროს დამატებით მეცადინეობებს, რომელიც მან უნდა შეასრულოს კლასში ან სახლში მასწავლებლის მიერ გამოყოფილ დროს მოსწავლის წინასწარი გაფრთხილები ს საფუძველზე.

13.5. თუ მოსწავლე სხვისგან იწერს ნებისმიერი სახის დავალებას, ან სარგებლობს ე.წ. შპარგალკით, ეს უღირსი საქციელია, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან და მოცემულ სიტუაციაში მასწავლებლი ს მიერ არ შეფასდება.

13.6. მოსწავლეს გაკვეთილების შემდეგ შეუძლია მასწავლებელთან დაკავშირება სკოლაში და სწავლასთან დაკავშირებული საკითხებზე მასთან გასაუბრება.

13.7. საბოლოო (სემესტრული) შეფასების გამოსწორება შესაძლებელია მოსწავლის ან მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების საფუძველზე; აღნიშნული რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით.

13.8. სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგებისა და სასკოლო ცხოვრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მოსწავლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი წახალისების ფორმები:

- სერტიფიკატი;
- დიპლომი;
- სასწავლო გრანტი;
- სტიპენდია – გარკვეული ვადით;
- საჩუქრის გადაცემა;
- სხვა სახის ჯილდოებით (ექსკურსიით, თეატრში ან მუზეუმში წაყვანა.)

მუხლი 14. მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები .

მასწავლებელს უფლება აქვს:

14.1. სამუშაო პირობების შექმნა: მოსთხოვოს სკოლის ადმინისტრაციას მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, ასევე მოსთხოვოს სასწავლო პროცესის მონაწილეებს მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

14.2. რესურსებით სარგებლობის უფლება: ისარგებლოს სასწავლებლის უძრავ_მოდრავი ქონებით საკუთარი პროფესიული მოვალეობების აღსასრულებლად.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

- 14.3. ინფორმაციის მიღების უფლება:** მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა, ადმინისტრაციისაგან სასწავლებლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე, როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა ოლიმპიადების, კონფერენციების, სხვადასხვა სახის აკადემიური თუ შემოქმედებითი კონკურსების ჩატარების პრობების შესახებ;
- 14.4. გამოხატვის თავისუფლება:** სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიოს საჯარო ინფორმაცია, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს იდეა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეთიკურ ნორმებსა და სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს.
- 14.5. გაერთიანების უფლება:** გაერთიანდეს ან თავად შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა მიზანია მოქალაქეთა პროფესიული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ინტერესების დაცვა; დაუშვებელია, სკოლა ჩაერიოს მათ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 14.6. მშობლის დაბარების უფლება:** კლასის ხელმძღვანელთან ან დირექციასთან შეთანხმებით სკოლაში დაიბაროს მოსწავლის მშობელი;
- 14.7. მართვაში მონაწილეობის უფლება:** პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით. წინასწარ განსაზღვრული ფორმით (მაგ. კათედრა, პედაგოგიური საბჭო), მონაწილეობა მიიღოს სკოლაში გარკვეული მიზნით შექმნილი ჯგუფის/ჯგუფების მართვაში;
- 14.8. განხილვებში მონაწილეობის უფლება:** მოითხოვოს სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა პედსაბჭოზე ან დირექციასთან. სკოლის მიერ მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მოითხოვოს და მიიღოს მისი აზრის მოსმენის და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა;
- 14.9. გასაჩივრების უფლება:** თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს სკოლის უკანონო ქმედებები სკოლის მიერ დადგენილი წესით.
- 14.10. სწავლა-სწავლების აკადემიური თავისუფლება:** მასწავლებელს აქვს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას;
- 14.11. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა:** მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. დაუშვებელია მასწავლებლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

14.12. მოსწავლის გაძევების უფლება: მასწავლებელს უფლება აქვს გაკვეთილიდან გამოუშვას მოსწავლე მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში (როცა მოსწავლე არ ემორჩილება მასწავლებლის კანონიერ მოთხოვნებსა და მითითებებს, შეურაცხყოფას აყენებს თანაკლასელს ან მასწავლებელს, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს კლასზე ან მასწავლებელზე და თავისი ქმედებით ფაქტობრივად შლის საგაკვეთილო პროცესს). მასწავლებელს ეკრძალება მოსწავლის გამოშვება გაკვეთილიდან ზედამხედველის გარეშე.

მასწავლებელი ვალდებულია:

14.13. შინაგანაწესის შესრულება: შეასრულოს სასწავლებლის შიდა დებულებებით, შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებით (სამსახურებრივი ინსტრუქციებით) განსაზღვრული მოთხოვნები.

14.14. მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულება: კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული პროფესიული მოვალეობები, იზრუნოს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებაზე, რაციონალურად გამოიყენოს საგაკვეთილო დრო;

14.15. ეთიკის დაცვა: მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები. იხელმძღვანელოს მასწავლებლის პროფესიული ეთიკისა და მოსწავლის ქცევის კოდექსით.

14.16. კვალიფიკაციის ამაღლება: სისტემატურად აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია, იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე;

14.16. მასწავლებლის პორტფოლიო: მასწავლებლის პროფესიული განვითარება, პრაქტიკული გამოცდილება და პროფესიული წარმატებები აღირიცხება მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიოს მეშვეობით.

14.17. შემოქმედებითობა: მუდმივად გამოავლინოს შემოქმედებითი ინიციატივა საქმიანობის მაღალი შედეგების მისაღწევად.

14.18. დოკუმენტაციის შევსება: სისტემატურად, დროულად და აკურატულად შეავსოს დადგენილი სასკოლო თუ საკლასო დოკუმენტაცია;

14.19. პედსაბჭოს მუშაობაში მონაწილეობა: მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიური საბჭოს სხდომები ს ს მუშაობაში; პედსაბჭოს სხდომის შესახებ პედაგოგს ეცნობება წინასწარ.

14.20. თანამშრომლობა კათედრასთან: ითანამშრომლოს საგნობრივ კათედრასთან და შეასრულოს კათედრის დებულებით გათვალისწინებული მოვალეობები; საგაკვეთილო

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

დროის გარდა სისტემატური შეხვედრები ჰქონდეს თავის კოლეგებთან, სადაც მოხდება მიმდინარე პრობლემებსა და საჭიროებებზე მსჯელობა, სიახლეების განხილვა, გამოცდილების გაზიარება.

14.21. მოსწავლის კონსულტაცია: ჩაუტაროს კონსულტაცია მოსწავლეს (დირექციის გადაწყვეტილებით ან მოსწავლის თხოვნის შემთხვევაში), რომელმაც საპატიო მიზეზით გააცდინა გაკვეთილები, განუსაზღვროს მას ვადები გამოტოვებული მასალის ჩასაბარებლად;

14.22. დამრიგებლობა: შეასრულოს კლასის დამრიგებლის თანამდებობრივი მოვალეობები მასწავლებლის ყველა უფლება-მოვალეობის შენარჩუნებით. დამრიგებლის საქმიანობები და მოვალეობები განსაზღვრულია ესგ-ითა და სასკოლო სასწავლო გეგმით;

14.23. შეფასების სისტემის გაცნობა მოსწავლეებისათვის: გააცნოს მოსწავლეებსა და მშობლებს თითოეულ კლასში (შეფასების კრიტერიუმების გადაგზავნით), თუ როგორი სისტემითა და რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება; (შეფასების ფურცლების ეგზემპლარების ქსეროკოპირებას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია.)

14.24. კომენტარებისა და ჩანაწერების წარმოება: მოსწავლეები სემესტრის ან/და სასწავლო წლის ბოლო შეაფასოს კომენტარებით, რომელიც მშობლებისათვის გასაცნობად და გასაანალიზებლად საბოლოოდ გადაეცემა კლასის დამრიგებელს.

14.25. სამსახურში დროული გამოცხადება: სამსახურში გამოცხადდეს ცხრილით განსაზღვრული გაკვეთილის დაწყებამდე მინიმუმ 10 წუთით ადრე; სამსახურში გამოცხადდეს სამუშაო დროის დაწყებისთანავე და/ან შვებულების ვადის გასვლისთანავე.

14.26. მორიგეობა: კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებელი ვალდებულია ყოველ დასვენებაზე, საგაკვეთილო ცხრილის გათვალისწინებით, როგორც წესი, იმორიგეოს შესაბამისად სადამრიგებლო ან კონკრეტული საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებულ კლასთან და უზრუნველყოს წესრიგი შესაბამის საკლასო ოთახსა და მიმდებარე დერეფანში.

14.27. პუნქტუალობა: არ დააგვიანოს კლასში შესვლა და გაკვეთილის დაწყება. რაციონალურად გამოიყენოს საგაკვეთილო დრო.

14.28. აღრიცხვის წარმოება: ელექტრონულ ჟურნალში ყოველდღიურად აღრიცხოს თითოეულ კლასში მოსწავლეთა დასწრება.

14.29. საგაკვეთილო დისციპლინა: უზრუნველყოს წესრიგი და სასწავლო დისციპლინა გაკვეთილის მსვლელობისას.

მუხლი 15. სკოლის ადმინისტრაციის უფლებები და ვალდებულებები.

ადმინისტრაციას უფლება აქვს:

15.1. უფლებების შეზღუდვა: სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები;

15.2. დამატებითი მომსახურება: მოსწავლეებს მიაწოდოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება.

15.3. გაკვეთილზე დასწრება: ადმინისტრაციას, უფლება აქვს დაესწროს გაკვეთილზე პედაგოგს მასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ან შეუთანხმებლად.

15.4. ექსპერტ-კონსულტანტის მოწვევა: მოიწვიოს სხვადასხვა საგნის ექსპერტ კონსულტანტები.

15.5. მოსწავლეთა გადაჯგუფება: საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებთან კონსულტაციის შემდეგ, გარკვეული კატეგორიის მოსწავლეები გადაიყვანოს ერთი კლასიდან მეორე (პარალელურ) კლასში, რათა არ წარმოიქმნას ისეთი ჯგუფები, რომლებიც ხელს შეუშლიან სასწავლო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას.

15.6. მოსწავლის სკოლიდან დროებითი დათხოვნა: დროებით (არაუმეტეს 9 დღისა) დაითხოვოს მოსწავლე სკოლიდან.

15.7. კვლევის ჩატარება: არსებული პრობლემების შესწავლისა და პრევენციის, ასევე მასწავლებელთა ან მოსწავლეთა რეიტინგის დადგენის მიზნით სკოლაში ჩაატაროს კვლევა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა სოციოლოგიური გამოკითხვები.

15.8. მოსწავლის დროებითი გათავისუფლება: მშობლის განცხადების საფუძველზე (გარკვეული ოჯახური თუ სხვა გარემოებების გამო) შეუძლია, გარკვეული ვადით გაათავისუფლოს მოსწავლე სასწავლო პროცესისგან.

ადმინისტრაცია ვალდებულია:

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American

15.9. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე შეასრულოს თანამდებობრივი ინსტრუქციებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;

15.10. შექმნას ობიექტური და დემოკრატიული სისტემა:

- სკოლის თვითშეფასების;
- მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და წახალისების;
- გაკვეთილის შეფასების;
- პედაგოგთა შეფასებისა და წახალისების;
- მოსწავლესა და მასწავლებელზე დაკვირვების;
- მონიტორინგისა და შედეგების დემონსტრირების.

15.11. აკონტროლოს სკოლის თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება. დროულად გამოიყენოს ზემოქმედების ზომები დისციპლინის დამრღვევთა მიმართ

15.12. შექმნას პედაგოგთა შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ხელშემწყობი გარემო, მოაწიოს წარმატებული გამოცდილების შესწავლა და დანერგვა;

15.13. იზრუნოს სკოლის თანამშრომლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის ჰარმონიული, უკონფლიქტო და საქმიანი გარემოს ჩამოყალიბებაზე;

15.14. მხარი დაუჭიროს პედაგოგთა რაციონალურ ინიციატივასა და აქტივობას, უზრუნველყოს სკოლის მართვაში მათი მონაწილეობა;

15.15. შექმნას სწავლა-სწავლების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

15.16. დაიცვას სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი და იხელმძღვანელოს მასწავლებლისა და მოსწავლის ეთიკის კოდექსებით.

მუხლი 16. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები

16.1. სკოლა ვალდებულია თანამშრომლებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო- პირობები შეასრულოს შრომის დაცვის წესები, განახორციელოს ღონისძიებები უსაფრთხოების და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის სფეროში.

16.2. სკოლა პასუხისმგებელია მოსწავლეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, სასწავლებელში მათი ყოფნისა და სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მათი მონაწილეობი დროს.

16.3. სკოლა ვალდებულია დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით და პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

16.4. დასაქმებულების, მოსწავლეების, მშობლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და შრომის პირობების დაცვის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

16.5. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებია:

- ა) ვიდეოკამერები სკოლის ეზოსა და შენობაში;
- ბ) თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- გ) ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა.

უხლი 17. შრომითი დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები

. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადებამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივ დგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდულ შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის როფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვ. ეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

. დამსაქმებელი ვალდებულია ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულებამთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა.

. აკრძალულია დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და დასაქმებულის მიმარებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლასთან.

. დისკრიმინაციად არ მიიჩნევა პირის განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს რსიდან ან სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას დრის მის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

17.1. სკოლის შინაგანაწესი ძალაში შედის დირექტორის მიერ დამტკიცების დღიდან.

17.2. სკოლის შინაგანაწესს უნდა გაეცნოს ყველა დასაქმებული, მოსწავლე და მშობელი.

17.3. სკოლის შინაგანაწესის საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი.